შეთანხმება №02/226-2
„გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ“
№02/226 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. ახალციხე 17 ოქტომბერი 2018 წელი

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი როინ თათეშვილი, შემდგომში „შემსყიდველი“ ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ს.კ. 224072928, დირექტორის ირაკლი ათუნაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” თანახმად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ“ 2018 წლის 13 სექტემბრის №02/226 ხელშეკრულების პირველი მუხლსა და მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით პირველკურსელი სტუდენტების სპეკტაკლზე დასწრებასთან დაკავშირებით, გასართობი მომსახურებების შესყიდვა.

cpv კოდი: 92312110

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ობიექტია: გასართობი მომსახურებები
ერთი სპექტაკლი – 750,00 ლარი.“

2. მხარეთა შორის 2018 წლის 13 სექტემბერს დადებული „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ №02/226 ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც არ იცვლებიან წინამდებარე ხელშეკრულებით, რჩება ძალაში.

3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი: როინ თათეშვილი

ვიზირებულია იურისტის მ/შ:
თამარ ხოსიტაშვილი

„მიმწოდებელი“:

სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

დირექტორი: ირაკლი ათუნაშვილი